# ტურისტებისთვის საინტერესო ადგილები
# ქობულეთში

# INTERESTING PLACES FOR TOURISTS
# KOBULETI

# ИНТЕРЕСНЫХ МЕСТ ДЛЯ ТУРИСТОВ
# КОБУЛЕТИ












# შესავალი
## INTRODUCTION
## ПРЕДИСЛОВИЕ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის საკურორტო ადგილები, როგორიცაა ქ. ქობულეთი, ციხისძირი და ჩაქვი. ქობულეთის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული ძეგლებითა და ღირსშესანიშნაობებით. აქ მრავლად შეხვდებით, როგორც უძველეს ეკლესია-მონასტრებს, ასევე ციხე-სიმაგრეებსა და თაღოვან ხიდებს. ქობულეთი ასევე ცნობილია დაცული ტერიტორიებით: ისპანი, კინტრიშის ნაკრძალი და მტირალას ეროვნული პარკი.

Kobuleti Municipality includes resorts such as Kobuleti, Tsikhisdziri and Chakvi. The district is rich with historic monuments and sights. Tourists can visit ancient churches and monasteries as well as fortresses and arched bridges. Kobuleti is also known for its protected areas: Ispani, Kintrishi Reserve and Mtirala National Park.

В состав Кобулетского муниципалитета входят курорты: Кобулети, Цихисдзири и Чакви. Здесь много исторических памятников и достопримечательностей – древних церквей, монастырей, крепостей и арковых мостов. Кобулети известен своими защищёнными территориями: Испани, Кинтришским заповедником и национальным парком Мтирала.








# ფიჭვნარის ნაქალაქარი

## ANCIENT PINEWOOD CITY

## ПИЧВНАРСКИЙ «НАКАЛАКАРИ» (ГОРОДИЩЕ)



ფიჭვნარის არქეოლოგიურ ნაქალაქარში ნაპოვნია ძვ. წ. აღ. V ს-ის ოქროს ბრწყინვალე ნაკეთობები – ჭურჭელი, სამკაულები, ლარნაკები, ოქროს ფიგურიანი კრატერი, და სხვ. რომელიც მსოფლიოში სულ რამდენიმეა.

During archeological excavations in the ancient Pinewood City were found golden artefacts of V century BC. Among these magnificent artefacts are dishes, jewellery, vases and golden-figure crater. There are only several specimen of the craters in the world.

Во время археологических раскопок в Пичвнарском «накалакари» были найдены золотые изделия V века до нашей эры - посуда, украшения, вазы, кратер с золотыми фигурами и др. Некоторые из этих изделий представляют большую редкость.









# კინტრიშის დაცული ტერიტორიები

## KINTRISHI RESERVE

## ЗАЩИЩЁННАЯ ТЕРРИТОРИЯ КИНТРИШИ

კინტრიშის დაცული ტერიტორიები განლაგებულია მდინარე კინტრიშის თვალწარმტაც ხეობაში, რომელიც სოფელ ცხემვანსა და ხინოს მთის შუაა მოქცეული. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ქვემო საზღვარი ზღვის დონიდან 250-300 მეტრზე გადის და მთლიანი რელიეფი ღრმა ხეობებითაა დასერილი. ნაკრძალის წყლის მთავარი არტერია - მდინარე კინტრიში - სათავეს ხინოს მთიდან იღებს და ქალაქ ქობულეთის სიახლოვეს შავ ზღვაში ჩაედინება. კინტრიშის ნაკრძალის ტერიტორიაზე განლაგებულია ხინოს წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის და ცხემვანის წმიდა გიორგის სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსები.

Kintrishi Protected Area is placed in the picturesque valley of River Kintrishi. The reserve is located between the village of Tskhemvani and Khino Mountain. The altitude of lowest part is 250-300 meters above sea level. The terrain is covered with deep gorges and ravines. The main artery of the reserve, River Kintrishi originates from Khino Mountain and finally, near town Kobuleti, flows into the Black Sea. Within the reserve are also situated monastery complexes – Monastery of John the Baptist of Khino and Monastery of St. George in Tskhemvani.

Защищённая территория Кинтриши расположена в живописном ущелье реки Кинтриши, между селом Цхемвани и горой Хино. Нижняя граница защищённой территории Кинтриши находится на высоте 250-300 метров над уровнем моря. На защищённой территории Кинтриши расположешы глубокие ущелья. Главная артерия вод заповедника - река Кинтриши - берёт своё начало у подножъя горы Хино и вблизи города Кобулети впадаает в Чёрное море. На территории Кинтришского заповедника расположены монастырские комплексы имени святого Иоана Предтечи и святого Великомученика Георгия.








# ისპანის დაცული ტერიტორია
## ISPANI PROTECTED AREA
## ЗАЩИЩЁННАЯ ТЕРРИТОРИЯ ИСПАНИ

ქობულეთის დაცული ტერიტორიები 1999 წელს შეიქმნა და მოიცავს ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალს-ისპანი II (331 ჰა) და ქობულეთის აღკვეთილს-ისპანი I (439 ჰა), რომლებიც ქალაქ ქობულეთის ჩრდილოეთით, შავი ზღვის გასწვრივ, სანაპიროდან, კერძოდ ფიჭვნარის ეკოპლაჟიდან დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს. ისპანის დაცული ტერიტორიები ქალაქ ქობულეთს აღმოსავლეთით მიუყვება. ჩრდილოეთით დაცულ ტერიტორიებს თიკერის რელიქტური კოლხური ტყის „აღდგენის ზონა“ ესაზღვრება, აღმოსავლეთით კი - მუდამ დათოვლილი გომის მთა, კინტრიშის ნაკრძალი და აჭარა-გურიის მთები გადმოჰყურებს.

Protected areas of Kobuleti were created in 1999. The areas include Kobuleti State Reserve – Ispani II (331 hectares) and Kobuleti Strict Nature Reserve – Ispani I (439 hectares). They are located on the north border of town Kobuleti, along the Black Sea coast. More precisely, the reserve lies 300 meters away from the coast – Kobuleti pinewood eco beach. Ispani Protected Areas are also continued along the eastern edge of the town. Apart from Black Sea and the town Ispani is surrounded by other natural locations: the north is occupied by the “recovery zone” of Tikeri Relic Colchic Forest, while snowy Gomi Mountain rises to the east accompanied with Kintrishi Reserve and Adjara-Guria Mountains.

Кобулетская защищённая территория была создана в 1999 году и включает в себя кобулетский государственный заповедник – Испани II (331 г) и кобулетскую сохранённую территорию (соответстбует четвёртой категории UICN) – Испани I (439 г), которые расположены вдоль Чёрного моря, на северной стороне от Кобулети, в частности, в 300 метрах от соснового экопляжа, Защищённая территория Испани расположена вдоль восточной стороны Кобулети. С северной стороны защищённая территория Кобулети граничит с «востановительной зоной» Колхского леса Тикери, а с восточной стороны – с вечнзаснеженной горой Гоми, Кинтришским заповедником и горами Аджарии и Гурии.














# მტირალას ეროვნული პარკი
## MTIRALA NATIONAL PARK
## НАЦИОНАЛЬНЫЙ ПАРК МТИРАЛА

სოფელი ჩაქვისთავი მდებარეობს მდინარე ჩაქვის წყალზე და მთლიანად გარშემორტყმულია მტირალას ეროვნული პარკით. იგი ყველაზე უხვნალექიანი ადგილია აღმოსავლეთ ევროპაში. ჩაქვისთავში არის მტირალას ეროვნული პარკის საინფორმაციო ცენტრი, სადაც ტურისტებს შეუძლიათ მიიღონ დაწვრილებითი ინფორმაცია მტირალას ეროვნული პარკის შესახებ.



The village Chakvistavi is seated on the bank of River Chakvistskali (Chakvi Water) and is surrounded entirely by Mtirala National Park areas. The place has highest precipitation in Eastern Europe. In Chakvistavi tourists can ask for information in the National Park Information Centre.

Село Чаквистави расположено на территории Национального парка Мтирала на берегу реки Чаквисцкали. По количеству осадков Национальный парк Мтирала первый в Восточной Европе. В Чаквистави находится информационный центр Национального парка Мтирала, где туристы могут получить нужную им информацию.













# პეტრას ციხე
## PETRA FORTRESS
## КРЕПОСТЬ ПЕТРА

პეტრას ციხის ნანგრევები ახალი წელთაღრიცხვის VI ს-ით თარიღდება. უნიკალური სამხედრო სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური მდებარეობის გამო ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ აქ ქალაქი გააშენა. ქალაქის ტერიტორიაზე გადიოდა უმნიშვნელოვანესი სახმელეთო გზა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა დასავლეთ საქართველოს და ბიზანტიის პროვინციებს.

The ruins of Petra Fortress are dated by VI century AD. The fortress-town was built by Byzantine emperor Justinian due to the uniqueness of this strategic location both in military and economic sense. The town used to be the part of the essential road that connected Western Georgia, the provinces of Byzantine Empire.



Обломки крепости Петра пренадлежат VI веку нашей эры. Из-за уникального военно-стратегического и торгово-экономического расположения византииский император Юстиниан построил город на этом месте. Здесь проходила дорога соединяющая Западную Грузию с провинциями Византии.







# ციხისძირი
## TSIKHISDZIRI
## ЦИХИСДЗИРИ

ციხისძირი – ქობულეთის მუნიციპალიტეტის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფელია, ზღვის დონიდან 60-90 მ-ზე მდებარეობს და ქალაქიდან 9 კმ-ითაა დაშორებული. ციხისძირი გამოირჩევა თავისი უნიკალური პლაჟით. მაღლობზე, რომლის კალთებიც ციცაბოდ ეშვებიან ზღვაზე წარმოქმნილია ციხისძირის კონცი. ზღვაში შეჭრილი კონცხი პლაჟს ჰყოფს ორ ნაწილად. ციხისძირის ტერიტორიაზე მდებარეობს სასტუმრო „კასტელო მარი“, რომელიც გამორჩეულია თავისი ადგილმდებარეობითა და არქიტექტურით.

Tsikhisdziri – the seaside village in Kobuleti Municipality, at an altitude of 60-90 meters above sea level. The distance between Kobuleti and Tsikhisdziri is 9 km. Tsikhisdziri is known for its unique beach. The hills of the village slope down steeply into the sea and form a cape, which divides the beach in two parts. Visitors can stay at hotel Castello Mari which is distinguished by its location and architecture.

Цихисдзири – село Кобулетского муниципалитета на берегу Чёрного моря, находится на высоте 60-90 метров над уровнем моря, на расстоянии 9 километров от города Кобулети. Цихисдзири имеет уникальный пляж – крутой склон спускается к морю и образуют мыс Цихисдзири и разделяет пляж на две части. В Цихисдзири функционирует гостиница «Кастело Мари», которая примечательна своим местонахождением и архитектурой











# ქობულეთის მუზეუმი
## KOBULETI MUSEUM
## КОБУЛЕТСКИЙ МУЗЕЙ

ქობულეთის მუზეუმში 6500-ზე მეტი სამუზეუმო ექსპონატია დაცული, რომლებიც წარმოადგენენ არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ბუნების, ხელოვნების და ქობულეთის ისტორიის ნიმუშებს. მუზეუმს გააჩნია კინოდოკუმენტალისტიკისა და საკონფერენციო დარბაზები.



More than 6500 exhibits are kept in Kobuleti Museum. The exhibits represent the archeology, ethnology, nature, art and history of Kobuleti. The museum also has the room of documentary films and conference hall.

В кобулетском музее хранится более 6500 экспонатов, среди которых археологические, этнологические, пропродные, исторические экспонаты, также образцы исскуства. В музее функционирует зал кинодокументалистики. В распоряжении посетителей конференционный зал.







# შუა მთა (Bird Watching)
# SHUA MTA (Bird Watching)
# ШУАМТА (Bird Watching)

შავი ზღვის სანაპირო კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლები შუა მთა და სახალვაშო, მტაცებელი ფრინველების მრავალრიცხოვანი მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ვიწრო დერეფანია, სადაც ყოველწლიურად 800.000-ზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება. სწორედ, ამ ფაქტის გამო აღნიშნული ადგილები მსოფლიოში ფრინველების მიგრაციაზე დაკვირვების მოცულობით მესამეა.

Near Black Sea coast is created one of the narrowest passes on the route of migrating predatory birds. More than 800 000 raptors annually fly over Kobuleti district villages – Shua Mta and Sakhalvasho. Aforementioned villages hold the third place among the most popular bird watching sites in the world.

Побережье Чёрного моря, в частности, сёла Кобулетского муниципалитета: Шуамта и Сахалвашо – один из самых узких коридоров миграции хищних птиц, количество, которых достигает 800 000 ежегодно. По количеству мигрирующих птиц это место третье в мире.







# ქობულეთის ზღვისპირა პარკი
## KOBULETI SEASIDE PARK
## КОБУЛЕТСКИЙ ПРИМОРСКИЙ ПАРК

ქობულეთის ცენტრალური პარკი – ფართობი – 47 000 კვ.
პარკის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს სტატიკური შადრევანი, ორი საზაფხულო კაფე, თევზების აუზი, გაშენებულია დეკორატიული ნარგავები, პარკის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს მხატვრის სახლი და 650 მაყურებელზე გათვლილი ამფითეატრი.



Kobuleti Central Park – area: 47 000 sq. m
In the central part of the park are situated a static fountain, two outdoor cafes and a fish pond. There are also grown ornamental plants. In the south of the park are located Artist's House and the amphitheater built for 650 spectators.



Общая площадь кобулетского центрального парка 47 000 кв метров.
В центральной части находится фонтан, два летних кафе, бассейн с рыбами, много декоративных расстении. В южной части парка построен Дом художника и амфитеатр на 650 зрителей.





## საკალმახე მეურნეობა "ქობრონა"
### TROUT FARM *Kobrona*
### ФОРЕЛЕВОЕ ХОЗЯЙСТВО “Коброна”

საკალმახე მეურნეობა „ქობრონა“
მდებარეობს სოფელ კოხში

The trout farm is based in the
village of Kokhi.

Форелевое хозяйство «Коброна»
Находится в селе Кохи











# ღვინის სახლი

## Дом вина

## Wine House







ღვინის სახლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული ღვინის პოპულარიზებისთვის, სტუმრებს საშუალება ეძლევათ ნახონ უნიკალური ვაზის ჯიშები, რომელიც მდებარეობს „აგრო სერვის ცენტრის“ ტერიტორიაზე სოფელ გვარაში.

The Wine House significantly contribute to the popularization of Georgian wine, furthermore, the guests will have an opportunity to see the broad range of unique varieties of vine (spread in the region for years ) which includes the farm territory of the Agro service center in Gvara.

Винный дом играет важную роль для продвижения грузинского вина, посетители могут увидеть уникальные сорта винограда, который находится в «Агро Сервис Центр» в селе Гвара.








ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
მისამართი: აღმაშენებლის ქ. № 141
6200 ქობულეთი, საქართველო


Kobuleti Municipality Governance
Address: 141 Aghmashenebeli st.
6200 Kobuleti, Georgia

Кобулетский Муниципалитет
Адрес: ул. Агмашенебели № 141
6200 Кобулети, Грузия

Tel: +995 (426)26-72-09 Fax: +995(426)26-72-09

**Email: kobuletimunicipality@gmail.com Web: www.kobuleti.org.ge**

Facebook.com - /ქობულეთის მუნიციპალიტეტი/

Facebook.com - /Kobuleti Municipality/

Facebook.com - /Кобулетский Муниципалитет/